№ 835 შაბათი, 5 ივნისი. 1896—1899 შაბათი, 5 ივნისი № 835

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 339

წლის დამლევამდე გაზეთი „ცნობის ფურცელი" ეღირება 3 მან. 50 კაპ.

## წლიური საერთო კრება

რადგანაც 29 მაისს დანიშნული საზოგადო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დილის 10 საათზე და გასახილველნი იქნებიან შემდეგი საქმეები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლ.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ
3) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
4) [illegible]
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი ხაზინის გვერდზე.

იმემეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და კარტოფით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა ლამაზ და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთები საჩუქრებისა და ნიშანთებისათვის

მაღაზიები იმყოფება [illegible] ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—34)

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. მარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ქართული წარმოდგენა კვირას 6 ივნის. ნაძვეცების ბაღში მიხაილოვის ქუჩაზედ, ქართული დრამ. რეჟისორის თანაშემწე ალ. ბაქრაძე გამართავს ქართულ წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება ან. ფურცელაძის „ივანიკა" ტრ. 5 მოქ.

*** თავად აზნაურთა თეატრის საქმე ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ თავად-აზნაურთა თეატრი გუბერნიის მართველობის განკარგულებით აპრილში დაიკეტა, რადგან პოლიცმეისტერის და ტეხნიკების აზრით თუ რემონტი არ გაკეთდა ამ დარბაზში წარმოდგენების გამართვა არ შეიძლებაო. თავად-აზნაურთა კრებამ მაისში გადასწყვიტა თეატრის რემონტი და გუბერნიის მარშალმა თავ. მუხრანბატონმა მისწერა ტფილისის გუბერნატორს, რომ რადგან რემონტის სრულად მოსწრება შეუძლებელია ამ ზაფხულს და რადგან პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა მზადდება, ითხოვს კიდევ ერთს სეზონს მისცენ ნება წარმოდგენების მართვისა. ბ. გუბერნატორი ი. გ. სვეჩინისაგან მარშალს მიუვიდა პასუხი, რომ მიეცემათ ნება წარმოდგენის გამართვისა იმ პირობით, რომ აუცილებლად შემდეგ ზაფხულში რემონტს მიჰყონ ხელი, ამ სახით ქართულ თეატრს არავითარი დაბრკოლება არ ექნება.

*** თელავი. პუშკინის დღესასწაული საქალაქო სასწავლებელში. ოთხშაბათს 26 მაისს თელავის სამოქალაქო სასწავლებელში დანიშნული იყო პუშკინის დაბადების ასის წლის შესრულების გამო პუშკინის იუბილეი ანუ პუშკინის დილა და წლიური აქტი სასწავლებლისა. დარბაზი, რომელიც იყო მომზადებული მშვენიერი სანახავი იყო, პირდაპირ კედელზე გამართული იყო, ვარდებში და ყვავილებში პუშკინის სურათი ფანჯრები და კედლები სულ მწვანე ფოთლებით იყო შემოსილი და აქეთ იქით კედლებზე გვირგვინებში მოსჩანდა პოეტის რამდენიმე სურათი. $10^1/_2$ საათიდამ დაიწყო ხალხმა დენა და 11 საათზე სასწავლებლის დარბაზი სავსე იყო. აქ იყვნენ უფროსები და მასწავლებლები დანარჩენი სასწავლებლის, უფროსები და მოხელეები ყველა წოდებისა, ქალაქის მოურავი და კიდევ სხვა საზოგადოება. პუშკინის დილა და აქტი დაიწყო „ღმერთო დაიცევ მეფესა", რომელიც ორკესტრმა შეასრულა. მერე ამავე სასწავლებლის მასწავლებელმა ტურენიკმა წაიკითხა პუშკინის ბიოგრაფია. ამის შემდეგ მოწაფეებმა დაიწყეს პუშკინის ლექსების კითხვა, თითო პატარ-პატარა შეგირდი გამოვიდოდა და ისე მშვენივრად იტყოდა რომელიმე ლექსს, რომ საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, პატარ-პატარა ლექსთა შორის უფრო კარგათ წაიკითხეს ბრეგვაძემ და ბეგიჯანოვმა პირველმა „Делибашъ", ხოლო მეორემ „Шотландская пѣсня." უფროს მოწაფეთაგან გრძელი ლექსები წაიკითხეს საუკეთესოთ: კაპძემ „Памятникъ," პაპლაშვილმა „Пѣснь о Вѣщемъ Олегѣ" და

კარლოვმა „Утопленникъ". სხვათა შორის ქართულადაც წაიკითხეს მშვენივრად „წინასწარმეტყველი" მარქაროვმა. ორკესტრმა, რომელსაც ამავე სასწავლებლის მოსწავლეები ასრულებდნენ მშვენივრად შეასრულეს რამდენიმე მარში. გუნდმა კიდევ რამდენიმე პუშკინის ლექსი იმღერა ბ. ტურენიკას ლოტბარობით. მასწავლებელმა ცისკაროვმა მშვენივრად წაიკითხა „Значеніе Пушкина въ русской литературѣ" ამის შემდეგ სასწავლებლის ინსპეკტორმა მაქნიკოვმა წაიკითხვა სასწავლებლის შესავალ-გასავალი, მესამე კლასის ორ განყოფილებად გაყოფა სასწავლებლის ბიბლიოთეკაზე, ღარიბ მოწაფეთა მზრუნავ საზოგადოებაზე, ამისი ანგარიში, ჩამოთვალა ყველა წევრები და სხვა და სხვა. მასწავლებელმა ცისკაროვმა წაიკითხა შეგირდების განაჩენი ვინ რომელ კლასში იყო გადაყვანილი და დაურიგეს ზოგს კარგი სწავლისათვის საქები ფურცლები. ორკესტრმა ორჯელ კიდევ შეასრულა მარში და მით გათავდა პუშკინის დილა და აქტი. საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა შინ, ორკესტრი სასწავლებლის ეზოს კარებთან უკრავდა მარშს ვიდრე საზოგადოება კარგა მანძილს გაივლიდა, აქტის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეს პატრა-პატარა პუშკინის თხზულებანი და ლექსნი.

**პუშკინის დილა სასულიერო სასწავლებელში.** 26 მაისს როგორც სხვა დაწესებულეებმა თელავის სასულიერო სასწავლებელმაც იდღესასწაულა რუსთა პოეტის ა. ს. პუშკინის ასის წლის დაბადების თავი. რადგანაც ბევრნი ჰყავდა დაპატიჟებულნი და შინაც ე. ი. ზალაში არ უნდოდათ გამართად, ამისათვის ამოარჩიეს „ტერასა". ეს ტერასა არის დიდი აივანი, რომელსაც სიგანე 3 საჟენი აქვს და სიგრძე კიდევ სამი ამოდენა. ეს იმყოფება სასწავლებლის ჩრდილოეთის მხრივ, მთელი შიგნით კახეთი და ალაზნის ველი ისე სჩანს როგორც ხელის გული დაინახოთ თქვენი და მოჰქრის იქიდამ ცივი გამაცოცხლებელი ნიავი აღმოსავლეთის 1) ეს აქტი მარტო უმცროს კლასებს ჰქონდათ, ხოლო უფროსებს 8 თიბათვეს აქვთ. ტრე მხარეს ამაღლებული იყო სცენა ქართულ გემოვნებაზე მორთული, გარშემო შემორტყმული ჰქონდა ტილოები და ფარდაგები, და დაბლა ხალიჩებით იყო დაფენილი. სცენაც მშვენივრად იყო მორთული პუშკინის სურათებით. 1 საათზე მთელი ტერასა სავსე იყო ხალხით და დაიწყო იუბილეი, იუბილეი დაიწყო „დღეს საღმრთო ძალმან შეგვკრიფა ჩვენ" რომელიც გუნდმა შეასრულა. შემდეგ მასწ. კუზმენკოვმა წაიკითხა პუშკინის ბიოგრაფია, მთელი სამი ჩეთვერი კითხულობდა, მაგრამ ისეთი აზრით წაიკითხა, რომ არავის მოსწყინდა იმის მოსმენა. მერე დაიწყეს მოსწავლეებმა ლექსების კითხვა. მათ შორის ვინც ლექსი თქო უფრო კარგათ და მშვენივრად წაიკითხეს: ქიტიევმა „Кочубей въ темницы" ნაცვალოვმა „Полтавскій Бой" და დალაქიშვილმა „Зимняя дорога" გუნდმა მშვენივრად შეასრულა რამდენიმე „პუშკინის ლექსი" და საზოგადოებასაც ძრიელ მოეწონა აქვე სასიხარულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პუშკინის იუბილეი მარტო რუსულ ენაზე არ იყო შესრულებული, არამედ ქართულადაც. ქართულად წაიკითხეს ლექსები და იმღერეს კიდეც. რამდენიმე შეგირდმა წაიკითხეს პუშკინის ლექსნი გადმოთარგმნილი ილია ჭავჭავაძის მიერ. უფრო-კი საუკეთესოთ წაიკითხეს: „ჭეშმარიტება" შავშიევმა „წინასწარმეტყველი" ზაუტოვმა და „მესმის მესმის" დათიევმა. აქვე მშვენივრად შეასრულა ქართულად ორი ლექსი გუნდმა ბ. სულხანიშვილის ლოტბარობით. ბოლოს მასწავ. გ. მთავრელიშვილმა საუცხოვოდ შეასრულა. „გაღმიშვი მთაო, დაღმიშვი" სოლოთი, რომელსაც მთელი გუნდი კიდევ ბანს აძლევდა. ამ სიმღერის დროს საზოგადოება ისეთ ნაირად წარიტაცა, რომ მთელი თავისი გონება მას მიაპყრეს და დიდ ნეტარებას გრძნობდნენ. სიმღერის გათავების შემდეგ ასტყდა ტაშის კვრა და ვაშას ძახილი. თუმცა რამდენჯერმე სთხოვეს გაემეორებინა, მაგრამ რადგანაც ბევრი სიმღერები შეასრულეს ამისთვის მეორეთ აღარ იყო განმეორებული. ჩვენდა სასიქადულოდ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ილია ზარაფიშვილმა წაიკითხა ქართულად „პუშკინის მნიშვნელობაზე" წაკითხვა წაკითხვასაც ჰქვიან, არსად ისეთი აზრით და სიტყვებით არ იყო წაკითხული როგორც ეს. დარწმუნებული ვარ რომ ეს ბ. ზარაფიშვილის წარმოთქმული სიტყვა უეჭველად დაიბეჭდება რომელიმე ქართულ გამოცემაში და ამისათვის საჭიროდ არა ვრაცხ, რომ ჩემი აზრით გამოვთქო მისი შინაარსი. ამ სიტყვამ დიდათ ასიამოვნა საზოგადოება და დიდი მადლობაც გადაუხადეს. პუშკინის იუბილეი გათავდა „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა", რომელიც გუნდმა შეასრულა. საზოგადოება ნასიამოვნები და დიდის მადლობით დაბრუნდა შინ სადილ-მოს სამ საათზე. შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეს დღესასწაულის სახსოვრად პატარ-პატარა პუშკინის თხზულებები და ლექსნი.

თ—ი.

* * * ს. ქახათი (სამეგრელო) აქაური რამე-რუმე ს. კახათი ძევს დასავლეთ სამეგრელოში შავი ზღვის მახლობლად. იგი შორავს სამაზრო ქალაქ ზუგდიდს შვიდი ვერსტით. ეს სოფელი განთქმულია უხვი მოსავლიანობით; რადგანაც მას უძევს ფაფუკი, როგორც ბამბა უქვო, უკლდო-გორიკო ნიადაგი, ალსავსე ნოყიერებით და სრულიად უზრუნველ ყოფილი მოვლა მორწყვისა. ძნელად თუ შეხვდებით მთელ სამეგრელოში ასე უხვად დაჯილდოვებულ სოფელსა ბუნებისაგან. აქ ხარობს ყოველნაირი ქირნახული, ხოლო მკვიდრთ მოჰყავთ სიმიდი, თუმცა ცოტა არ იყოს სიმიდის ფასის დაწევის შემდეგ გული აუცრუვდათ, მარა მათი წარმოება ჯერჯერობით ის-ღაა- ამ მოკლე დროში მეაბრეშუმობაც სცადეს: უკაცი ხელოდ გამრავლებულ თუთის ხეებს ნაოეს-გახელური თუ თებიც მოუმატეს, მარა დახეთ აქაც ბედმა უმუხთლა, აბრეშუმის პარკის ფასი ძირს დატრიალდა და ისევ მათ თვალში თუთის ხეს პატივი დაეკარგა. სწორედ შავი ბედით, რომ იტყვიან, კახათელებთან გამართლდა, არ ველირსეთ ნივთიერ წამობოძიკებას და არა, სულ ერთგვარობაა ნივთიერად დაქვეითება, რომლის შემდეგი გახლავთ სიბნელე. უვიცობა, ცრუ მორწმუნოება და მერვე მცნების დარღვევა-ქურდობა, რომლებთაგან საფერი ნაყოფიც გამოდის სილატაკე. აი მადლობა ღმერთს, ეხლა მაინც თავისუფლად ამოვისუნთქეთ სული მეთქი, ავიცილეთ თავიდგან ეს ცუდი ხელობა და უსიამოვნო სახელი დარჩენილი ჩვენზედ მამაპაპიდგან შვილთა შვილამდე არის კურდღლის ფეხით წავშალოთ მეთქი, მარა იმდენი სიკეთე დაემართოს თქვენი მტერს! ეს ოცნება ოცნებათვე გაჰქრა და რას ვხედავთ? ჩვენი ღამის მხედრებმა ისევ ძველებურად ტყაპა-ტყუპი შეჰქმნეს ჩიგვნარ მინდვრებში და მათგან გარუჯულ აწიოკებული მამასახლისის ძებნაში ატარებს დროს და მით ეხოვება თავისი სარჩო საბადებლის მოწევ მოყვანას, ვაჰ რა ორგვარი ზარალია!..

კალამდარა.

# თეატრის მატიანე

—

**ხაშური ქართული წარმოდგენა.** კვირას 23 მაისს, აქ ბ. ი. კვალიევის თაოსნობით ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა წარმოდგენა. წარმოადგინეს ორი პიესა: I „ძუნწი" და II. „ხოტრველობა". პირველმა პიესამ მშვენივრათ ჩაიარა, მხოლოთ მეორეს კი ეტყობოდა ცოტა სისუსტე. მაგ. არჩილას და სხვების როლებს. საზოგადოება ძრიელ კმაყოფილი დარჩა ეს წარმოდგენა იყო გამართული „მცხეთის ტაძრის" სასარგებლოდ. ხალხიც ბევრი დაესწრო ამ საკეთილო საქმეს და როგორც ვესმის ბილეთებიც ბევრი დაყიდულა, მაგრამ ფულიკი ჯერ არსადა სჩანს, რადგანაც რომ უმეტესი ნაწილი ბილეთებისა ნისიათ ყოფილა გაყიდული და და როგორც გვესმის ნახევარი ჯერაც აუღებელია. თეატრი და ნისია?! იმედია ამისთანა სასიკეთო წარმოდგენებს ხშირათ დასდგამენ ჩვენს ხაშურში, მაგრამ როგორ-ღა დასდგამენ, როდესაც სცენა აგერ საცაა ჩაინგრევა. იმ ლამესაც კბილით ეჭირათ სული, სცენის მოყვარეებს.

გურულ-ქართლელი

# ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

V *)

ყველა ამას უნდა დავუმატოთ ისიცა, რომ მაღალმა საზოგადოებამ არ შეითვისა პუშკინი; პირიქით, დიდი დაუძინებელი მტრები ჰყავდა დიდკაცობაშიაცა და მაღალ ხარისხოვან მოხელეობაშიაც. ერთი ასეთი დაუძინებელი მტერი იყო გრ. უვაროვიც, რომელიც ამ დროს საერო განათლების მინისტრად დაინიშნა.

პუშკინის მოუსვენარმა ყოფამ, საშინელმა გულაჩხრეკამ უმწვერვალესობამდე მიაღწია. მაღალმა საზოგადოებამ მოაწყინა თავი; მტრებმა სიცოცხლე გაუმწარეს, თუმცა, რასაკვირველია, თვითონაც აღარა ზოგავდა იმათ და ეპიგრამებითა და სატირულის ლექსებით თავზე კაკალს ამტვრევდა. მისნი მტერნი შეითქვნენ და გადასწყვიტეს მისი დაღუპვა პირველსავე მოხერხებულ დროს, სულის მშვიდობის დამკარგველი პუშკინიც, მერე ბუნებით მეტად ცხარე და აღგზნებულის ხასიათისა, ცხადია დიდხას არ აცოდინებდა თავის ძლიერს და გავლენიან მტრებს, ისეთ მტრებს, როგორნიც იყვნენ გრ. უვაროვი და მესამე განყოფილების უფროსი გრ. ბენკენდორფი. საკმაო იყო, ერთ ლამაზს, ახალგაზრდა კავალერგარდს ბარონ ჟორჟ მეკკერნ დანტეს დაეწყო ტრფიალი მისის ცოლისთვის, რომ გაევრცელებინა საზიზღარი ჭორი ლამაზი ქალ

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 834.

შესახებ, ისეთი ჭორი, რომელიც აუპატიურებდა პუშკინს. ამავე დროს პუშკინს მისდიოდა ყოვლად შეუწყნარებელი ხელმოუწერელი წერილები, რომელშიაც ათასი ყოვლად საწყენი და პუშკინის გამაბიაბრუებელი ნართაული ლაპარაკი და სიტყვის გადაკვრა იყო გაბმული. პუშკინმა ვეღარ მოითმინა ასეთი თავის დამცირება და დუელში გამოითხოვა დანტესი, თუმცა მან ამ დროს ჯვარი დაიწერა მის ცოლის დაზე. დუელი მოხდა 27 იანვარს და პუშკინი სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი. ბენკენდორფმა იცოდა დუელის ამბავი და, როგორც ჟანდარმების შეფი, მოვალეც იყო ჩაეშალა ეს საქმე, მაგრამ მან თავი არ შეიწუხა და სულ სხვა მხარეს გაჰგზავნა ჟანდარმები, ვითომდა შეცდომით. ორ დღეს კიდევ იცოცხლა პუშკინმა, გამოეთხოვა შინაურებს, დალოცა შვილები, მოატანინა თავისი წიგნები და იმათაც გამოეთხოვა, სთხოვა ეპატიებინათ მკვლელისათვის მისი დანაშაული და დიდის ტანჯვის შემდეგ განუტევა სული.

მთელი პეტერბურგი შეინძრა ამ ამბის გამო, დუელის მეორე დღეს ტევა აღარ იყო, ისე გაივსო ხალხით ის ქუჩა, სადაც იდგა პუშკინი. ლიტერატორებმა და სტუდენტებმა გადასწყვიტეს ხელით წაესვენებინათ მისი კუბო ეკკლესიამდე.

ახალგაზდა პოეტის ლერმონტოვის ლექსი «Погибъ поэтъ, невольникъ чести»... ათასობით ჰქონდათ გადაწერილი და ზეპირად სწავლობდნენ. მთავრობა შეფიქრიანდა, არეულობა არა მოხდესრაო და საღამო ჟამზე მიასვენეს ეკკლესიაში პოეტის გვამი. ანდერძის აგების შემდეგ, მისი კუბო ეკკლესიის სარდაფში დაჰკეტეს და მხოლოდ სამ თებერვალს წაასვენეს დასასაფლავებლად დედის გვერდით სოფელში, სადაც საფლავის ადგილი პოეტმა მოიმზადა სიკვდილამდის ერთის წლის წინად.

სიკვდილის შემდეგ პუშკინს არა ჩენია-რა ვალის მეტი. მთავობამ 10,000 მან. გადასდო დააფლავების ხარჯად, ვალი 50 თასი მ. ეპატივა მის ოჯახს. ამას რდა 50 ათასი მ. გადაიდო მის ხზულებათა დასაბეჭდად, ხოლო ემოსულის ფულით უნდა შემდარიყო თანხა ასაზრდელად მის ვილებისა, რომელნიც პაჟების ორპუსში იქმნენ მიღებულნი და, ოგორც შვილებს, ისე ქვრივსაც ენსია დაენიშნათ.

—

დიდია და განუზომელი ღვაწი და დამსახურება პუშკინისა უსულის ლიტერატურის წინაშე. ან შეჰქმნა და განამდიდრა რუსული საპოეზიო ენა; მან ჩაჰყარა ეძირკველი წმინდა და მარტივის სნისა პროზისათვის. თვით ლიტერატურის აღორძინებას და გაძლიერებას პუშკინმა მისცა დასაწყისი. მისი სამწერლო მოღვაწეობა თანდათან განთავისუფლდა სხვა და სხვა მიმართულების გავლენისაგან და მისმა შემოქმედობამ მალე დაიწყო ბრწყინვა დამოუკიდებლობითა, ღრმა ეროვნულის მიმართულებითა და რეალური თვისებითა. პუშკინი იყო ცენტრი ლიტერატურო მოძრაობისა და ზრდა-წარმატებისა, რადგან იშვიათი ნიჭიც აძლევდა ამის ნებას და ჩის ღრმა სიყვარულიც, რომელიც მაწვილობიდანვე ჰქონდა ლიტერატურისა. ყველას, ვისაც კი ნიჭს ატყობდა, შვილივით ეკიდებოდა, უფრთხილდებოდა, ამხნევებდა, აქეზებდა. ისეთი არა დაიწერებოდა-რა ცოტად, თუ ბევრად შესანიშნავი, რომ მაშინვე არ წაეკითხნა, არ ეწვრილნა იმის დამწერის ამბავი და არ განეხილნა კრიტიკის თვალით. თავის მეგობარ მწერლების შესახებაც ასე იქცეოდა და იმათაც სთხოვდა, დაწვრილებით განეხილათ მისი ყოველი ნაწერი. განვიხილავ თქვენს ნაწერსაო, სწერდა ხოლმე ამ შემთხვევაში თავის მეგობრებს, — მეც შევისწავლი და ქვეყნისათვისაც სასარგებლო იქნებაო. უნდა სავსებით გავარჩიოთ თქვენი თარგმანი ილიადასიო, — სწერს გნედიჩს, — ეგ გარჩევა თქვენის დიდებისათვის არ არის საჭირო, საჭიროა რუსეთისათვისაო. ვისაც უნდა შეიგნოს სავსებით, რა კაცი იყო პუშკინი, რა ღრმად უყვარდა მწერლობა, თვისი მეგობარი მწერლები და ლიტერატორები, უნდა მისი მიწერ-მოწერა გადაიკითხოს. მაშინ დააფასებს ამ დიდებულს კაცს და მაშინ შეიგნებს სავსებით მის უკვდავის ნაწერების ღირსებასა და მნიშვნელობას.

გამართლდა პოეტის წინასწარმეტყველებით ნათქვამი სიტყვები: ჩემი სახელი მოეფინება მთელ რუსეთს, ხელთუქმნელს ძეგლს დავიდგავ და არ მოვკვდები, ვიდრე ქვეყნად ერთი პოეტი მაინც იქნებაო. Слухъ обо мнѣ пройдетъ по всей Руси великой, и назоветъ меня всякъ сущій въ ней языкъ!..

გრ. ყიფშიძე

# სამეცნიერო ცნობა

—

ლიმონი და ფორთოხალი. ლიმონის ხის ნაყოფი უწინდელ დროში კარგად ცნობილი იყო ძველ ხალხთა შორის, რადგანაც იგი უმეტესად მიდაში ხარობდა. აქედგან მან გადაიდგა ფესვები სპარსეთში და იუდეაში, ასე რო ბერძნებმა და რომაელებმა პატარა ხანში გაიცნეს „მიდიის ვაშლი“ როგორც მას უწოდებს ვირგილი, რომელიც ამბობს, რომ მიდიელები ლიმონის წვენს სხვა-და სხვა გვარ შხამის ასაცილებლად ხმარობდნენო. მხოლოდ ქრისტეს მოსვლის შემდეგ ლიმონი თავისს საწამლავ მნიშვნელობას ჰკარგავს და საჭმელ სასმელის გემრიელ ნაწილად ხდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ლიმონის ხეს ჩვენ ვხედავთ აგრეთვე სიცილიაში და ნეაპოლის მიდამოებში.

ფორთოხლის სამშობლოდ ითვლება შორს მდებარე ინდოეთი, საიდანაც იგი გადმოვიდა არაბიაში და იქიდან შუა საუკუნოებში გადატანილ იქმნა იტალიის სახელმწიფოში. ამის გარდა ფორთოხლის ხით დაითვარა აგრეთვე მთელი ხრდილოეთი აფრიკა.

ფორთოხალი სიცილიაში მწიფდება გიორგობისთვის გასულს, თუმცა მესინის მიდამოებში ნაყოფის ჩამოხსნა მიღებულია ღვინობისთვეში, რომელსაც მაშინვე უგზავნიან ინგლისის კონდიტორებს, რომელნიც ამ ფორთოხალს კიდევ თვენახევარს ინახავენ. დაკრების შემდეგ. მთელი ხროვა ფორთოხლისა ჯერ მიწაზე სამი დღე ყრია, მერე კი ახვევენ ქაღალდებში, აწყობენ ყუთებში და მესინაში ჰგზავნიან. იქ მაღალ და დაბალ ხარისხად ჰყოფენ ფორთოხალს, რომელიც გასაგზავნია, და უფრო კარგ ნაყოფს კი ქაღალდში ახვევენ, რაც კარგ მოგებას აძლევს ასობით და ათასობით ქალ-დედაკაცს, რომელნიც 9 საათს ნამუშავარში ყოველ დღე იღებენ ერთ ფრანკს და 25 სანტიმს (40 კაპიკამდე), ბევრ იტალიის ადგილებიდან ახალ ნაყოფის გარდა გამოაქვთ სხვა ქვეყნებში ლიმონის და ფორთოხლის შაქარში მოხარშული ქერქი. ამ ჟამად ლივორნოში იმყოფება შვიდი ქარხანა, რომლებშიაც დაშქრულ ქერქებს ამზადებენ და სხვა და სხვა ქვეყნებში ჰგზავნიან გასასყიდად. ფორთოხალი ამ ქარხნებისთვის მოაქვთ სიცილიიდან, სარდინიიდან და კორსიკიდან. ლიმონი კი სიცილიის გარდა კალიფორნიიდან, ტუნისიდან და ტრიპოლიდან. ამერიკამაც ამ პატარა ხანში თავისთვის გააშენა ლიმონის და ფორთოხლის ტყეები ნახევარ კუნძულ ფლორიდაზე, რომელიც განთქმულია თავის შესანიშნავ თბილ ჰავით, ამ გვარ მრეწველობამ დიდი სარგებლობა მისცა იქაურ მებაღეებს და აი ეს მეორე წელიწადია, რაც სახელმწიფო ხაზინას მილიონებით შემოსავალს აძლევს.

პავლე მოსულიშვილი

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ივნისი

**კიევი.** კიევის უნივერსიტეტში სახელმწიფო ეგზამენები დასრულდა.

**პარიზი.** სასამართლოში გაირჩა საქმე კრისტიანისა, რომელმაც ოტეილში რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯოხი მოუქნია. კრისტიანიმ განაცხადა, რომ ძალიან აღელვებული ვიყავი და იმიტომ ჩავიდინე ეს საქმეო. წინ-და-წინვე განზრახული არა მქონდა პრეზიდენტისათვის დამეშავებინა რამეო. საბრალმდებლო სიტყვა თვით რესპუბლიკის ბრალმდებელმა ფელიოლემ წარმოსთქვა. ფელიოლემა სთქვა, რომ კრისტიანს წინადვე განზრახული ჰქონდა პრეზიდენტისათვის ვნება მიეყენებინაო. ხალხი ბევრი დაესწრო. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** საბრალმდებლო პალატამ განაცხადა, რომ პიკარისა და ლებლუას საქმეში ისეთი რამ არაფერია, რომელიც მათ დანაშაულობას ამტკიცებდესო.

**ლონდონი.** მანილიიდგან ამბავი მოვიდა, რომ ფილიპინელთა მთავარ-სარდალი გენერალი ლუნა და იმის ადიუტანტი 27 მაისს აგვინალდოსთან წავიდნენ სათათბიროდ, მაგრამ როდესაც აგვინალდოს სადგომთან მივიდნენ, შეტაკება მოუხდათ დარაჯთან, ხოლო როდესაც ლუნამ რევოლვერი ამოიღო, ისიცა და ადიუტანტიც იქვე ხიშტებით მოჰკლესო.

**ბომბეი.** მადურისა და ტინევილეისის ოლქებში არეულობა თანდათან იზრდება და საშიში ხდება. წარსულ ღამეს 9 სიპაის 2,000 კაცი დაეცა. მეამბოხენი სოფლებს ცეცხლს უკიდებენ. სოფელი სრულიად გადასწვეს.

**ჰააგა.** მესამე კომისიის მცირე კომისიას დღესაც ლაპარაკი სამედიატორო სასამართლოს შემოღების პროექტის შესახებ ჰქონდა. რადგანაც დელეგატებს თავიანთ მთავრობებისაგან ინსტრუქციები არ მიუღიათ, არავითარი გარდაწყვეტილება არა ყოფილა. შემდეგი კრება პარასკევისათვის არის დანიშნული.

**ჰააგა.** განყოფილებათა თავმჯდომარეთ კრებაზედ გარდასწყვიტეს, გადასცენ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებს ცნობები საზოგადო კრებების გარდა, კომიტეტისა და განყოფილებათა კრებათა შესახებაც.

**პარიზი.** ბევრი გაზეთი ამბობს, რომ კაბინეტის შედგენას პუანკარეს მიანდობს პრეზიდენტიო. „Journal“-ი სწერს, რომ პრეზიდენტმა უკვე მიანდო კაბინეტის შედგენა პუანკარესაო და ამ უკანასკნელმა უკვე გაუგზავნა დეპეშა ვალდეკ რუსოსა და ბურჟუა'საო. „Matin“-ის სიტყვით, ბურჟუას სთხოვეს გარეშე საქმეთა მინისტრობა იკისროს, ზოგიერთი სხვა გაზეთი ამბობს, რომ კაბინეტის

შედგენას პრეზიდენტი ვალდეკ რუსოს მიანდობსო.

**პარიზი.** $1^1/_2$ საათზედ ლუბემ მიიღო პუანკარე და დაავალა კაბინეტის შედგენა.

**პარიზი.** პუანკარემ დრო მოსთხოვა ლუბეს მოსაფიქრებლად და დაჰპირდა საღამოს 6 საათზედ ჩემს გადაწყვეტილებას შეგატყობინებო.

3 ივნისი.

**პარიზი.** პუანკარემ სათათბიროდ ინახულა რიბო, სერიეფა, მელინი, პეიტრალი და ბრისსონი.

**პარიზი.** პუანკარე სხვა-და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკებს განაგრძობს. ის ხელ-ახლა იყო ელისეის სასახლეში, რომ სთხოვოს ლუბეს ხვალამდის ადროვოს, რადგან ჰსურს ინახულოს ზოგიერთი პირი, რომლებთანაც მოლაპარაკება ვერ მოასწრო.

**მადრიდი.** სენატმა მიიღო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც გერმანიას ერთმევა ზოგიერთი ნაწილი მშვიდს ოკეანეზედ.

# განცხადებანი


## ვ. ზუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომა.



სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



## ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—27) ო. კორონა.



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—29)



## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ „СВѢТЪ"

### СЪ „ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ"

**съ пересылкою и доставкою:**

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . 2 р.
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . .

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: Спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ"

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія» (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ — по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленіями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адрееса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп. позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 1 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

**ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ — по воскресеньямъ — Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ — по субботамъ — В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллюнеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по неурожайнымъ мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. д.

(8—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.") გ ზუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზუნ